საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

თამარ ღვამიჩავა

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს თამარ ოქროპირიძე?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის თამარ ოქროპირიძის შეფასება/დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი თამარ ოქროპირიძე არის მოქმედი მოსამართლე, შესაბამისად მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის დადგენილი წესის საფუძველზე. კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე. ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ თამარ ოქროპირიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს 90 ქულას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 12 ნოემბერს ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა თამარ ოქროპირიძის კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. შესაბამისად, მე მხარი დავუჭირე თამარ ოქროპირიძის კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად.

თამარ ღვამიჩავა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 12. 11. 2021.